

იპოთეკის ხელშეკრულება – №XX.XXXX

წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო შემდეგ მხარეებს შორის:

იპოთეკარი:

სს მისო „ქართული კრედიტი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 206238800, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, სანდრო ეულის ქ. N7, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი სამადაშვილის (პირადი № 01033000107) მინდობილი პირის ფილიალის მენეჯერის სახელი/გვარი (პირადი №00000000000) (მინდობილობის საფუძველზე, გაცემული dd/mm/yyyy. რეესტრის ნომერი: №xxxxx) სახით.

მესაკუთრე: სახელი/გვარი (დაბადებული: პირადი №0000000. საიდენტიფიკაციო დოკუმენტის №xxxxxx, გაცემული dd/mm/yyyy წ. იუსტიციის სამინისტრო მიერ. რეგ. მისამართი: ; ფაქტ. მისამართი:).

წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულებაში აღნიშნული მსესხებელი: სახელი/გვარი, პირადი №0000000000

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „იპოთეკარსა“ და „მსესხებელს“ შორის dd/mm/yyyy გაფორმებული №xxxxxxx გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების (შემდგომში “გენერალური ხელშეკრულება”) და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, „მსესხებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად „მესაკუთრე“ „იპოთეკარის“ სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს თავის კუთვნილ უძრავ ქონებას, რომლის აღწერაც მოცემულია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით, იპოთეკარი უფლებამოსილია “გენერალური ხელშეკრულების” საფუძველზე მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში, უპირატესი წესით (იპოთეკის რიგის გათვალისწინებით) დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის ან საკუთრებაში გადაცემის გზით.

1.3. სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების (ლიმიტის ოდენობა - xxxxxxxxxxxx) ფარგლებში, რომელიც მოქმედა შემდეგი xxx თვის ვადით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.

2. იპოთეკის საგნის აღწერა

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით იპოთეკის საგანია: მესაკუთრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე:

- მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები.

2.2. იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე მესაკუთრის უფლება დასტურდება:

მესაკუთრის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № xxxxxxxx განცხადების რეგისტრაციის № xxxxxxxx - dd/mm/yyyy მომზადების თარიღი: dd/mm.yyyyy, რომელიც დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას.

2.3. იპოთეკის საგნის მიმართ არ არის რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერით და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების ელექტრონული მონაცემთა ბაზით.

2.4. მესაკუთრე ადასტურებს, რომ (ა) იპოთეკის საგანი არ არის სადავო, მესამე პირებს (გარდა ამონაწერში მითითებული იპოთეკარებისა) არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეთ იპოთეკის საგნის მიმართ; (ბ) მისთვის არ არის ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე მესამე პირის საჩივრის არსებობის შესახებ, (გ) არ არის აღძრული რაიმე სარჩელი მესამე პირის მიერ იპოთეკის საგანზე საკუთრების, სარგებლობის ან სხვა სანივთო უფლების მოპოვების მოთხოვნით. „მესაკუთრეს“ ეკისრება პასუხისმგებლობა „იპოთეკარის“ წინაშე ამ მუხლში აღნიშნული გარანტიების დარღვევით „იპოთეკარისათვის“ მიყენებული ზიანისათვის.

2.5. იპოთეკით დატვირთული ქონება რჩება მესაკუთრის/მესაკუთრეების სარგებლობაში.

2.6. ყოველგვარი გაუგებრობების გამოსარიცხად, მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება:

2.6.1. იპოთეკის საგნის სხვა უძრავ ნივთთან გაერთიანების შედეგად (ასეთი, გაერთიანების შემთხვევაში) მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან შეერთებულ ნაწილზე);

2.6.2. იპოთეკის საგნის გაყოფის შედეგად (ასეთი გაყოფის შემთხვევაში) წარმოშობილ თითოეულ უძრავ ნივთზე (იპოთეკის საგნის ნაწილებზე). იპოთეკის საგნის გაყოფის შედეგად მიღებული თითოეული ნივთი (იპოთეკის ახალი საგანი) სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნას, რომლის უზრუნველსაყოფად დადგინდა იპოთეკა.

2.6.3. იმ სამომავლო შენობა-ნაგებობებზეც (როგორც მშენებარეზე, ისე დასრულებულზე), რომელიც აშენდება (მიშენდება და/ან დაშენდება) იპოთეკის საგანზე (ასეთის მშენებლობის შემთხვევაში) და რაც დასრულებული სახით წარმოადგენს ერთ ინდივიდუალურ ფართს იპოთეკის საგანთან ერთად;

2.6.4. იპოთეკის საგნის დაზუსტებულ ფართზე (აზომვითი ნახაზების და/ან სხვა საფუძველით იპოთეკის საგნის ფართის საჯარო რეესტრში დაზუსტების შემთხვევაში).

2.6.5. იპოთეკის საგნის ყველა სხვა გაუმჯობესების მიმართ.

2.7. ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკის შესახებ ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილების შესატანად საკმარისი ოქნება ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ განცხადების წარდგენა.

2.8. იპოთეკა ამ ხელშეკრულების მიხედვით არის პირველი რიგის.

3. იპოთეკის საგნით უზრუნველყოფილი ვალდებულება

3.1. იპოთეკით უზრუნველყოფილია „მსესხებლის“ მიერ „გენერალური ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. გენერალური ხელშეკრულების მიხედვით:

3.1.1. მსესხებლის გენერალური საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრება xxxxxxxx (თანხა სიტყვიერად) (ექვივალენტი აშშ დოლარში, ევროში) ოდენობით.

3.1.2. საპროცენტო განაკვეთი: წლიური xx%-დან xx%-ის ოდენობით.

3.1.3. პირგასამტეხლო: ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0%-დან 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

3.1.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: xxx თვე.

3.2. იპოთეკით უზრუნველყოფილია სესხის თანხა მთლიანი მოცულობით, სესხის თანხაზე დარიცხული სარგებელი, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხა, შესაძლო ზიანი, სასამართლო/საარბიტრაჟო და აღსრულების, აუქციონის, აგრეთვე „გენერალური ხელშეკრულებისა“ და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი, რომელიც ეკისრება მსესხებელს.

3.3. იპოთეკის საგნით უზრუნველყოფილია იპოთეკარის მოთხოვნა სრულად, იმ მოცულობით რა მოცულობითაც იგი არსებობს იპოთეკის საგნით იპოთეკარის მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტისათვის.

4. მესაკუთრის განცხადებები და გარანტიები

4.1. მესაკუთრე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

4.1.1. არის იპოთეკის საგნის მართლზომიერი მესაკუთრე და აქვს ამ ხელშეკრულების დადების მართლზომიერი უფლებამოსილება;

4.1.2. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ნებაყოფლობით, მუქარის, ძალადობის, მოტყუების, შეცდომის ან სხვა მსგავსი გარემოებების არსებობის გარეშე.

4.1.3. მისთვის ცნობილია, რომ იპოთეკის საგანი იტვირთება მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და რა სახის და რა მოცულობის არსებული თუ სამომავლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ტვირთავს ქონებას იპოთეკარის სასარგებლოდ.

4.1.4. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სტატუსით), რითაც საფრთხე შეიძლება შეექმნას მის საკუთრების უფლებას იპოთეკის საგანზე ან/და ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მესაკუთრე ვალდებულია იპოთეკის საგანს ჯეროვნად მოუაროს, არ დაუშვას მისი დაზიანება ან/და განადგურება და შეინარჩუნოს იპოთეკის საგნის რეალური ღირებულება. „იპოთეკარს“ აქვს უფლება დოკუმენტებით და ფაქტიურად შეამოწმოს იპოთეკის საგნის არსებობა, მდგომარეობა და შენახვის პირობები, მოსთხოვოს მესაკუთრეს მიიღოს ყველა საჭირო ზომა იპოთეკის საგნის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე, თუ იპოთეკის არსებობას საფრთხე შეექმნა, მესაკუთრეს განუსაზღვროს შესაბამისი ვადა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. იპოთეკარს აქვს უფლება მოითხოვოს იპოთეკის საგნის მისთვის სამართავად გადაცემა, თუ ირკვევა, რომ მესაკუთრე არ/ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

5.2. მესაკუთრე უფლებამოსილია ისარგებლოს იპოთეკის საგნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „იპოთეკარი“ ამ მუხლით განსაზღვრული საფუძვლით ითხოვს „იპოთეკის საგნის“ მისთვის სამართავად გადაცემას.

5.3. იპოთეკარი უფლებამოსილია: ა) თუ ვითარების გაუარესების გამო იპოთეკის არსებობას საფრთხე შეექმნება, მესაკუთრეს განუსაზღვროს შესაბამისი ვადა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად; ბ) იპოთეკა და მის საფუძვლად არსებული მოთხოვნა გადასცეს (დაუთმოს) მესამე პირს (სესხი და იპოთეკა გადასცეს სხვა პირს); გ) განახორციელოს იპოთეკის საგნის ან მისი ნებისმიერი ნაწილის რეალიზაცია ან მოითხოვოს მისი საკუთრებაში გადაცემა, თუ მსესხებელი არ გადაიხდის სესხს. დ) მოითხოვოს საჯარო რეესტრიდან იპოთეკის მოწმობის გაცემა იპოთეკის საგანზე.

5.4. მესაკუთრე ვალდებულია „იპოთეკარს“ წინასწარ, არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღით ადრე აცნობოს იპოთეკის საგნის სხვა ნებისმიერი ვალდებულებით დატვირთვის, გაყიდვის, გაჩუქების, გაცვლის ან სხვაგვარი გასხვისების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „იპოთეკარს“ გააჩნია „გენერალური ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მოთხოვნის დაუყოვნებლივი დაკმაყოფილების უფლება. იპოთეკის საგნის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაცია ამ ხელშეკრულების შესაბამისად, იპოთეკარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად), იპოთეკარის ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი იპოთეკის საგნის მიმართ უცვლელი რჩება.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრე იღებს ვალდებულებას მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (იპოთეკის საგანი) არ დატვირთოს აღნაგობის უფლებით.

5.6. მხარეები თანხმდებიან, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონის ან სხვა ანალოგიური საკანონმდებლო აქტის საფუძველზე იპოთეკის საგნის ან მისი ნაწილის ექსპროპრიაციის შემთხვევაში, იპოთეკის საგნის სრული ან ნაწილობრივი ექსპროპრიაციის შედეგად „იპოთეკარის“ მიერ დაკარგული უზრუნველყოფის საშუალება შეიცვლება ექსპროპრიაციის შედეგად მიღებული ანაზღაურებით. კერძოდ, ხელშეკრულების მხარე უთმობს „იპოთეკარს“ აღნიშნული კომპენსაციის (ანაზღაურების) თანხას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა უზრუნველყოფის საშუალება ექსპროპრიაციის შედეგად.

5.7.

მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების დადებისთან, რეგისტრაციასთან, ცვლილება/დამატებების შეტანასა და რეგისტრაციასთან, გაუქმებასა და გაუქმების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი.

5.8. იპოთეკის საგანთან დაკავშირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შეწყვეტის რეგისტრაცია მისი წარმოშობიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

6. იპოთეკარის ინტერესების დაკმაყოფილება, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული „გენერალური ხელშეკრულებით“ ან მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში, იპოთეკარი უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება იპოთეკის საგნიდან.

6.2. იპოთეკარი უფლებამოსილია მოითხოვოს იპოთეკის საგნის რეალიზაცია „გენერალური ხელშეკრულების“ ან მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ნებისმიერი სახით დარღვევის შემთხვევაში.

6.3. მესაკუთრეს (მესაკუთრეებს) ეკისრება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იპოთეკის საგნის რეალიზაციის, სასამართლო, საარბიტრაჟო, სააღსრულებო, აუქციონის და ყველა სხვა თანამდევნი ხარჯები.

6.4. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა (მათ შორის, ვადაზე ადრე საკრედიტო ხელშეკრულებით ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლით) და მსესხებელი/მესაკუთრე ნებაყოფლობით არ ასრულებს გამსესხებელი/იპოთეკარის მოთხოვნას, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, მოახდინოს იპოთეკის საგნის რეალიზაცია ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ ნოტარიუსისაგან მიიღეს ჯეროვანი განმარტება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი შინაარსის (მისი არსისა და ძირითადი პრინციპების) შესახებ. კერძოდ, მათთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი შეცვლის სასამართლოს სააღსრულებო ფურცელს. შესაბამისად, იპოთეკარს უფლება ექნება სასამართლოსათვის მიმართვისა და სასამართლო საქმის წარმოების გარეშე მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების აღსრულების პროცესი დაიწყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცელს გასცემს წინამდებარე აქტის მიმდები (დამმოწმებელი) ნოტარიუსი, ან მისი უფლებამონაცვლე (მოვალეობის შემსრულებელი). უფლებამოსილი ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს იმ შემთხვევაში, თუ მას წარედგინება სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკარის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვის გარეშე, ხოლო მოვალის ან მესამე პირის მიერ სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას.

6.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-309-ე მუხლების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის განსხვავებულ წესზე, რომლის მიხედვით, უძრავი ქონების რეალიზაციას განახორციელებს კრედიტორის მიერ დანიშნული სპეციალისტი. აუქციონის საკომისიო განისაზღვრება სპეციალისტის დებულებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოთხოვნის 4%-ს.

6.6. მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის მიერ „გენერალური ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს „იპოთეკარის“ საკუთრებაში, თუ „იპოთეკარი“ და „მესაკუთრე“ ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ მარეგისტრირებელ ორგანოს.

6.7. იპოთეკარი უფლებამოსილია მოითხოვოს აღსრულების მიქცევა მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, მათ შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შექმნილ ქონებაზე), მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფილია თუ არა მსესხებლის ვალდებულება სანივთო უფლებით.

7. დავის გადაწყვეტის წესის შესახებ

7.1. ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

7.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს: შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგია“, ს/კ 406091517, ვებ.გვერდი: www.legia.ge.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგია“ დებულება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად აღნიშნული დებულებით განისაზღვრება ყველა ის საკითხი, რომელთა სხვაგვარად განსაზღვრის უფლებაც მიანიჭა მხარეებს საქართველოს კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“. მათ შორის ისეთი საკითხები, როგორცაა: არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, სარჩელის განხილვის ვადები, სარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და საარბიტრაჟო განხილვის წესები, მხარეებისათვის კორესპონდენციის გაგზავნის წესი და საშუალება.

7.4. მხარეები თანხმდებიან, რომ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგია“ გადაწყვეტილებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა და ექვემდებარება აღსრულებას მხოლოდ არბიტრაჟის სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე. შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულებას.

7.5. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შეტყობინების/სარჩელის/კორესპონდენციის ჩაბარება, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდება შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგია“ ვებ გვერდზე www.legia.ge.

8. სხვა პირობები

8.1.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაში რჩება ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული „გენერალური ხელშეკრულებით“ და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

8.2. მხარეთა შეთანხმებით, ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას მხარეთა შორის, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეზე ან/და სამართალმემკვიდრეზე.

8.4. მესაკუთრე თანხმობას გამოხატავს, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად მიიღოს გამსესხებლისაგან პირდაპირი მარკეტინგული ან საინფორმაციო მიზნებით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ერთი წარდგენილი იქნება სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, თითო ეგზემპლარი მიეცემათ მხარეებს.

8.6. „მესაკუთრე“ ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერასთან და შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ მსესხებელმა სრულად არ დაფარა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ სს მისო „ქართულ კრედიტში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მისო „ქართული კრედიტი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

იპოთეკარი

სს მისო „ქართული კრედიტი“
206238800

რეგ. მის: სანდრო ეულის ქ. N7, თბილისი, საქართველო.
ტელ: 2 500 100

ფილიალის მენეჯერი :

მესაკუთრე

სახელი/გვარი

პ/ნ:

ტელ:

სახელი/გვარი